ხელშეკრულება №2023/43
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი თავმჯდომარის, დავით ნადირაშვილის სახით და შპს „ფავორიტი სტილი“ (ს/კ: 404379294), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის, ივანე თევდორაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტისა და №918 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი“ – ფასების ცხრილით გათვალისწინებული საქონელი.
1.7 „ფასების ცხრილი“ – მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილი.
1.8 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია 26 მაისის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში ფასების ცხრილით (დანართი №1) განსაზღვრული, საჩუქრად გადასაცემი ბრენდირებული საინფორმაციო და სარეკლამო პროდუქციის შესყიდვა (CPV- 18211000 - კეპები, CPV-18332000 - მაისურები, CPV-18333000 - პოლოს მაისურები, CPV-18936000 - ნაჭრის ჩანთები, CPV-22459100 - სარეკლამო მისაკრავი ეტიკეტები/სტიკერები და ზოლები, CPV-22816100 - ბლოკნოტები, CPV-30192121 - ბურთულიანი კალმები, CPV-30237270 - პორტაბელური კომპიუტერის ჩანთები, CPV-79800000 - ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ფასების ცხრილის (დანართი №1) შესაბამისად და შეადგენს 13485.00 (ცამეტი ათას ოთხას ოთხმოცდახუთი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 25 მაისისა.
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე დაუყოვნებლივ;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.
5.2 ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ლოჯისტიკის მენეჯერი ან/და სხვა უფლებამოსილი პირი.

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
5.4 საქონლის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ტექნიკური და ხარისხის კონტროლი და თუ საქონელს აღმოაჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარულ დღეში, აღმოფხვრას წუნი წუნდებული საქონლის ახალი საქონლით ჩანაცვლებით.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
გ) დაფინანსების წყარო: სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ 2023 წლის საკუთარი შემოსავლები.
7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ, შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 თუ ერთი-ერთი მხარე არ ასრულებს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს დამატებით ვადას ან აფრთხილებს მას. თუ დამატებით ვადაში ან მიუხედავად გაფრთხილებისა მხარე კვლავ არ ასრულებს ან არსებითად არღვევს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.
9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით. მიწოდების ვადაში არ შედის წუნის აღმოსაფხვრელად მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის დაწესებული 5.4 პუნქტით განსაზღვრული ვადა, ასევე, ინსპექტირების განხორციელებისთვის და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისთვის გახარჯული დრო.
9.4 წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 და 6.3 პუნქტებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.
9.5 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.
9.6 იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატება 5 დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%–ის ოდენობით.
9.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. ფორსმაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ ენაზე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“
წარმოდგენილი თავმჯდომარის,
დავით ნადირაშვილის სახით
მის.: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №22
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ.: 7 0979 74 99
ს/კ – 204598337

მიმწოდებელი:
შპს „ფავორიტი სტილი“
წარმოდგენილი დირექტორის,
ივანე თევდორაშვილის სახით
მის.: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის №50
ტელეფონი: 592 95 19 51
ელფოსტა: g.makharadze@phfavorite.ge
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.: GE68TB7229036020100001
სს თიბისი ბანკი, კოდი: TBCBGE22
ს/კ – 404379294

ციფრული მმართველობის სააგენტო
Davit Nadirashvili
2023.05.18 16:32:30 +04'00'

FAVORITE STYLE LLC
Digitally signed by FAVORITE STYLE LLC
Date: 2023.05.18 13:16:17 +04'00'

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	18211000	კეპი თეთრი ბრენდირებით	50	11.00	550.00
2	18332000	მაისური მოკლე მკლავით (თეთრი - 100, ლურჯი - 100) ბრენდირებით	200	16.00	3200.00
3	18936000	ნაჭრის ჩანთა (თეთრი - 50, ლურჯი - 50)	100	17.00	1700.00
4	22459100	სტიკერი 40 მმ, 50 მმ, 60 მმ, 70 მმ	800	0.138	110.00
5	22816100	ბრენდირებული ბლოკნოტი 2 სახის: ა5; ბეჭდვა 4+0; ქაღალდი 300 გ ცარცი, 80 გ ოფსეტი; 50 ფურცელი; დამატებით ყდა ლამინაცია 1+0; კინძვა ზამბარა მოკლე მხრიდან	600	2.50	1500.00
6	30192121	კალამი ორმხირივი ბრენდირებით	500	2.80	1400.00
7	30237270	კომპიტერის ჩანთა ბრენდირებით	100	48.00	4800.00
8	79800000	თერმოსის ბრენდირება	50	4.50	225.00
სულ ჯამი (ლარი)					**13485.00**

შპს „ფავორიტი სტილის“ დირექტორი,
ივანე თევდორაშვილი

FAVORITE STYLE LLC

Digitally signed by FAVORITE STYLE LLC
Date: 2023.05.18 13:15:52 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად შპს „ფავორიტი სტილთან“ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ თავმჯდომარე, დავით ნადირაშვილი